ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

# ბრძანება №973259

ნომერი: AR1173046

თარიღი : 26.10.2013

გაცემის თარიღი : 31.10.2013

გაცნობის თარიღი : 18.11.2013

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა აბაშიძე , N 21ა / ქალაქი თბილისი , ირაკლი აბაშიძისა და არაყიშვილის ქუჩების გადაკვეთაზე (ნაკვეთი 16/024);

დამკვეთი-განმცხადებელი

- გიორგი ინასარიძე პ/ნ 01017001114
- თბილისი ზ.ფალიაშვილის ქ. N 40 ბ. 3

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ცვლილება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

## ვბრძანებ

ქალაქ თბილისის მერიის სსიპ – ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურის 09/20/2013 წლის 909696 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

ქალაქ თბილისის მერიის სსიპ – ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურს 10/26/2013 წელს AR1173046 განცხადებით მომართა გიორგი ინასარიძემ და მოითხოვა ამავე სამსახურის 09/20/2013 წლის 909696 ბრძანებაში ცვლილების შეტანა, კერძოდ: ტექნიკურ–ეკონომიკური მაჩვენებლების გრაფიკულ ნაწილთან შესაბამისობაში მოყვანა.

სამსახურმა საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96–ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად შეისწავლა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ 09/20/2013 წლის 909696 ბრძანებით შეთანხმდეს ქ. თბილისში, ქუჩა აბაშიძე, N21ა / ქალაქი თბილისი, ირაკლი აბაშიძისა და არაყიშვილის ქუჩების გადაკვეთაზე (ნაკვეთი 16/024), საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე (ნაკვეთის საკადასტრო კოდი N01.14.11.016.039) მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის არქიტექტურული პროექტი და გაიცეს მშენებლობის ნებართვა. აქტში ტექნიკურ–ეკონომიკური მაჩვენებლები ჩამოყალიბდა დამკვეთის მიერ წარმოდგენილი განმარტებითი ბარათის შესაბამისად. №909696 ბრძანებაში მითითებული რამდენიმე ტექნიკურ-ეკონომიკურ პარამეტრი არ შეესაბამება გრაფიკული დოკუმენტაციის მონაცემებს.
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63–ე მუხლის თანახმად ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია შეიტანოს ცვლილება და დამატება მის მიერ გამოცემულ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ–სამართლებრივ აქტში.

ვინაიდან საარქივო დოკუმენტაციის გადამოწმების შედეგად დგინდება, რომ ტექნიკურ–ეკონომიკური მაჩვენებლები არ შეესაბამება 09/20/2013 წლის 909696 ბრძანებით შეთანხმებულ არქიტექტურულ პროექტს, ხოლო აღნიშნული არ იწვევს სამშენებლო პარამეტრებისა და კოეფიციენტის საანგარიშო ფართის ცვლილებას სამსახურმა მიზანშეწონილად მიიჩნია დააკმაყოფილოს დამკვეთის მოთხოვნა და შეიტანოს ცვლილება მის მიერ გამოცემულ აქტში.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63–ე მუხლის თანახმად, ვბრძანებ:

1. შევიდეს ცვლილება ქალაქ თბილისის მერიის სსიპ – ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურის 09/20/2013 წლის 909696 ბრძანებაში, კერძოდ: ტექნიკურ–ეკონომიკური მაჩვენებლები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით: საერთო ფართობი (კვ.მ).: 5119.7
საცხოვრებელი ფართობი (კვ.მ).: 2104.15
კომერციული ფართობი (კვ.მ).: 910.9
საზაფხულო ფართობი (კვ.მ).: 592.2

კიბის უჯრედისა და სადარბაზოს ფართობი (კვ.მ).: 510.35

დამხმარე ფართობი (კვ.მ).: 175.0

ავტოსადგომის ფართობი (კვ.მ).: 827.1
2. წინამდებარე ბრძანება განხილულ იქნას ქალაქ თბილისის მერიის სსიპ – ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურის 09/20/2013 წლის #909696 ბრძანებასთან ერთად;
3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მერიაში (მის: შარტავას ქუჩა #7) მისი ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი
" თბილისის არქიტექტურის სამსახური"
საქართველო, თბილისი 0160 ჭ. შარტავას 7

ტელ. [+995 32] 272 22 22
ფაქს. [+995 32] 237 82 24
Info@tas.ge
უფრო მეტი - tas.ge